საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 9706/2-1

12 12 2012 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი“-ს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გიგზავნით ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირის N8–ში მდებარე შენობის „B“ კორპუსში ყოფილი პლენარულ სხდომათა დარბაზისა და მიმდებარე სივრცეში 150 პარლამენტის წევრისთვის პლენარულ სხდომათა დარბაზის, „A“ კორპუსში ყოფილი კინოდარბაზისა და მიმდებარე სივრცეში საკომიტეტო მოსმენათა დარბაზის (120 სამუშაო ადგილით), ასევე „C“ კორპუსში ყოფილი საკომიტეტო მოსმენათა დარბაზების (I რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები, 80-80 სამუშაო ადგილით) მოწყობის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადებას.

გთხოვთ, საკონკურსო განცხადება გამოგვიქვეყნოთ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

დანართი 8 ფურცლად.

ზურაბ მარაქველიძე

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის (შემდგომ – სასახლე) „B“ კორპუსში ყოფილი პლენარულ სხდომათა დარბაზსა და მიმდებარე სივრცეში 150 პარლამენტის წევრისთვის პლენარულ სხდომათა დარბაზის, „A“ კორპუსში ყოფილი კინოდარბაზისა და მიმდებარე სივრცეში საკომიტეტო მოსმენათა დარბაზის (120 სამუშაო ადგილით), „C“ კორპუსში ყოფილი საკომიტეტო მოსმენათა დარბაზების (I რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები) (80–80 სამუშაო ადგილით) სრული დაგეგმარების საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომ გამარჯვებული კონკურსანტის მიერ დარბაზების მოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დარბაზების სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფცია. გამარჯვებულმა კონკურსანტმა, რომელთანაც დაიდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, უნდა უზრუნველყოს დარბაზების მოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

4. პლენარულ სხდომათა დარბაზი შინაარსითა და დაგეგმარების პრინციპით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს და მუშაობისთვის მოსახერხებელი უნდა იყოს. საპარლამენტო საქმიანობისათვის სრულფასოვანი პირობების შესაქმნელად პარლამენტის წევრს უნდა ჰქონდეს ფიქსირებული მაგიდა, რომელიც აღიჭურვება ინდივიდუალური მიკროფონითა და სამუშაო მონიტორით. დარბაზის სივრცეში უნდა გამოიყოს სპეციალური ადგილები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და პრეზიდენტისათვის, მთავრობის წევრებისათვის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის, პლენარულ სხდომაზე მოწვეული საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისათვის, პარლამენტის ოფიციალური და საპატიო სტუმრებისათვის, პარლამენტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სხდომაზე განსაზღვრული წესით დასწრების მსურველი მოქალაქეებისათვის. დარბაზში უნდა მოეწყოს სამუშაო ადგილები დარბაზის კომპიუტერული მომსახურების, სინქრონული თარგმანის, გახმოვანების, განათების სპეციალისტებისა და სატელეტრანსლაციო კამერების დისტანციური მართვის ვიდეოოპერატორებისათვის.

საკომიტეტო მოსმენათა დარბაზებში (ყოფილი კინოდარბაზი, I რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები) მაგიდები უნდა აღიჭურვოს ინდივიდუალური მიკროფონებით. დარბაზების სივრცეში უნდა მოეწყოს სპეციალური ადგილები პარლამენტის ოფიციალური და საპატიო სტუმრებისათვის, პარლამენტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სხდომაზე განსაზღვრული წესით დასწრების მსურველი მოქალაქეებისათვის. დარბაზში უნდა

დამონტაჟდეს სინქრონული თარგმანის, საპრეზენტაციო პროექტორებისა და ვიდეოკონფერენციების სისტემები.

5. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების ღირებულების 2%-მდე, (100 00 ლარი) ლარში.

6. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22	
მიმღები	სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიშის №: GE52BR0000010591718543	

7. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

8. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-6 ან მე-7 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

11. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 18 დეკემბერს და მთავრდება 2012 წლის 19 დეკემბერს 17:00 საათზე.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, სათანადო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ, რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

14. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს:

- ინფორმაცია მის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული ან საცხოვრებელი შენობის არანაკლებ 3 არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად). აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით;
- ინფორმაცია საბოლოო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
- რეკვიზიტები.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს დარბაზების დაგეგმარებისა და ინტერიერის გადაწყვეტის კონცეფციას და კონცეფციის განმარტებით ბარათს. კონცეფცია უნდა შეიცავდეს სულ ცოტა შემდეგ ინფორმაციას:

- მუშა ნახაზები და 3D ვიზუალიზაცია რეალური ფერებითა და მასალებით;
- ავეჯის გაბარიტული ზომები და სამუშაო ნახაზები;
- ჭრილები და კედლის განშლები;
- ელექტრო- და სუსტი დენების დაქსელვის გეგმა;
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციები;
- იატაკების მოპირკეთების სქემა;
- ჭერის სქემა ელექტროობის წერტილების მითითებით.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს საბოლოო დოკუმენტაცია იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე დარბაზების სრული მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად. საბოლოო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს დარბაზების მოწყობისათვის აუცილებელი მთლიანი სამუშაოებისათვის საჭირო შემდეგ ინფორმაციას:

- მთლიანი ინტერიერის მუშა ნახაზები და 3D ვიზუალიზაცია რეალური ფერებითა და მასალებით;
- ავეჯის გაბარიტული ზომები და სამუშაო ნახაზები;
- ჭრილები და კედლის განშლები;
- ელექტრო- და სუსტი დენების დაქსელვის გეგმა;
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციები;
- იატაკების მოპირკეთების სქემა;
- ჭერის სქემა ელექტროობის წერტილების მითითებით;
- დარბაზების მოწყობის პროექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა;
- მოქმედი სამშენებლო წესებითა და გავრცელებული პრაქტიკით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების ღირებულების 2%-მდე, 100 000 ლარი) არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0.7;
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3.

კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. საკონკურსო კომისიას შეუძლია მოახდინოს იმ საკონკურსო წინადადების დისკვალიფიცირება, რომლის კონცეფციაც მიუღებელი იქნება ესთეტიკური და კონცეპტუალური თვალსაზრისით.

18. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების დადებიდან არა უგვიანეს 45 დღისა.

19. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს საბოლოო დოკუმენტაციაში.

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და უნდა გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები. პროექტის მიმდინარეობა შემსყიდველთან განხილული უნდა იქნეს არანაკლებ კვირაში ერთხელ.

21. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად.

22. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარგაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

23. კონკურსანტს საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26, საქართველოს პარლამენტის სასახლე; ტელ.: (995 32) 2 28 90 81 – ზაურ ჯიოშვილი, (995 32) 2 28 90 43 – ვლადიმერ ხუციშვილი).

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე პარლამენტის სასახლის (შემდგომ – სასახლე) „B“ კორპუსში ყოფილი პლენარულ სხდომათა დარბაზისა და მიმდებარე სივრცეში 150 პარლამენტის წევრისთვის პლენარულ სხდომათა დარბაზის, „A“ კორპუსში ყოფილი კინოდარბაზისა და მიმდებარე სივრცეში საკომიტეტო მოსმენათა დარბაზის (120 სამუშაო ადგილით), „C“ კორპუსში ყოფილი საკომიტეტო მოსმენათა დარბაზების (I რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები) (80–80 სამუშაო ადგილით) დაგეგმარებისა და ინტერიერის გადაწყვეტის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურება.

პლენარულ სხდომათა დარბაზის საერთო ფართობია 648 კვ. მ., ყოფილი კინოდარბაზისა – 203 კვ. მ., საკომიტეტო მოსმენათა დარბაზებისა (I რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები) – 140–140 კვ. მ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

თუ კონკურსის შედეგად მიღებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ანაზღაურების გარეშე შედგება.

დარბაზების დაგეგმარებისა და ინტერიერის გადაწყვეტის საბოლოო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ დარბაზების მოწყობის სამუშაოების შესრულების ღირებულება არ აღემატებოდეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარს.

დაპროექტების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირად უთანხმდება შემსყიდველს.

პროექტი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ------ 2012 წლის -----

ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტის აპარატი (შემდგომ – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ მარაქველიძის სახით, და, მეორე მხრივ, ----- (შემდგომ – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ----- სახით, კონკურსის საშუალებით

დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომ – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე შენობის „B“ კორპუსში ყოფილი პლენარულ სხდომათა დარბაზისა და მიმდებარე სივრცეში 150 პარლამენტის წევრისთვის პლენარულ სხდომათა დარბაზის, „A“ კორპუსში ყოფილი კინოდარბაზისა და მიმდებარე სივრცეში საკომიტეტო მოსმენათა დარბაზის (120 სამუშაო ადგილით), „C“ კორპუსში ყოფილი საკომიტეტო მოსმენათა დარბაზების (I რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები) (80–80 სამუშაო ადგილით) არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (71200000 – არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ----- ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ----- კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია -----.

4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №26.

5.2. მომსახურების გაწევის საბოლოო თარიღია 2012 წლის -----.

6. ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ანაზღაურება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს -----.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზისა და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს მიმწოდებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა, ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების (მათ შორის, ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობები გადაისინჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა დაუშვებელია.

9.4. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. ხელშეკრულების მხარე ვალდებულია ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილი არიან, დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ამოქმედდება 2012 წლის ----- და მოქმედებს 2012 წლის ----- ჩათვლით.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

საქართველოს პარლამენტის აპარატი